


ცელიწადი გიროვნება

ცელიწადი გიროვნება

სამეურნეო ქურნალი

მოსკვული



თემი 1.

№ 3

შ ი ნ ა ს ი ს ი :

— ა. რუსიშვილი	ჩერიდი სბოს მოყვა	3
გ. თაქტაქიშვილი	ხეხილი	4
გ. ნახუცრიშვილი	ხეხილის გასხვის სხვადასხვა დანიშნულება	6
— პროფ. გენრი	გვება და საკვებავები (თარგმანი)	11
„მოსვალის“ ლონ- დონის ავენტურა . . .	თესლეულობის უცხოეთიდან შემოტანა	14
<u>საყურადღებო ცნობები:</u>		
ფილსტის სარჯი		16
განცხადებანი		16

ფურნალი წელიწადში ღირს — 3 მანეთი. ||| მისამართი: თიფლის, ვარაუბინი 5.

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს შემნაბეჭდი იღებდნენ მთავარი და მთავარი გ., ანაზღეული ბ., ახალია ი., გულბათიშვილი გ., გაღმოსვეტილი ბ., გვარამაძე ილ., გორთმაშვილი ღ., გამხა-რაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელანი ე., გახელიძე ი., მჭედლიშვილი გ., მელია პ., მი-განი ღ., მაჩაბელი ა., მჩაბელი ი., ნახურიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილა-ძე გ., ქუთათლებები ი., ყავრიშვილი ნ., ჩივაძე ე., ჩხეიძე ყ., ცხადაძე გრ., ღ-ძე ღ., მდ. ჯა-ლიაშვილი, წ-ძე ა., ხეთაგური ს., უ-ელი ვ., შენგელია ვ.

რედაქტორი მოელის თანმშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საზორადლებლივ.

შურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანმშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორმ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რამელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დახა-ბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეამავ-ლობა სამეურნეო იარაღებისა და მაზინების და აგრძელებული სამეურნეო ნაწარმოების შეძენას აღადებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკანელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს ა. შაური.

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთვის შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქტორი შემნაბეჭდის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე

ჩვილი ხბოს მოვლა

დაიბადება თუ არა ხბო ჯერ უნდა ფურმა ალოკოს. მხოლოდ თვალყური კი უნდა გეჭიროთ რომ ალოკვაში ჭიბი არ ააგლიჯოს ფურმა. ისევ სჯობია სიცროტილის გულისათვის თქვენვე გასწმინდონდ ხბო ნამჯათ ან შალის ნაჭეროთ და დედა კი არ მაუშვათ ასალოვად.

რა წამსაც დაიბადება ხბო იმ წამსვე უნდა ლორწო გამოუწმინდოთ პირი-დან სუფთად დაბანილი ხელით და რამდენჯერმე შეუბეროთ პირში რომ სუნთქვა დაეწყოს ხბოს.

პირველ დღეს ხბოს უნდა ასეთ დედის ხსენი, რომ კუჭი გაეწმინდოს. ხსენში ბლომად არის ალბუმინი, ცხიმი და მარილები, ხოლო კაზეინი და რძის შაქარი კი ცოტა ურევია ხსენს.

ამიტომ ხსენი მოქმედობს კუჭზე როგორც საფარისათვი ზეთი, აღბობს მსხვილ ნაწლევებში მოგროვილს გამხმარევამაგრებულ გამონავალს და აღვილებს კუჭის გაწმენდას.

ზოგჯერ ხსენიც ვერა სჭრის ისე აქვს ხოლმე ჩვილ ხბოს კუჭი გამაგრებული. ამ შემთხვევაში უნდა გაისუფთაოთ თითი, ამოავლოთ ზეთში და შეუყოთ ხბოს უკან ტანში ან ოყნა უნდა გაუკეთოთ თბილი გასაპნული წყლით.

საჭმელად რძე უნდა ასვათ ხბოს ახალი მოწვევლილი და თბილი 26-28⁰R. ჭურჭელი, რომელშიაც ასმევთ რძეს, უნდა საგანგებოდ იყოს ხოლმე გასუფთავებული, უნდა აჭმევდეთ დანიშნულ დროზე და მასთან ისე რომ ჭამდან ჭამამდე თანასწორი დრო გადიოდეს,

თორებ წინააღმდეგ შემთხვევაში ხბოს კუჭი გაუფალარათდება, საჭმელს სავსებით ვერ შეირგებს და თანდათან გათამამების მაგივრად დასუსტდება.

თუ ხბო გააფარირათა დასალევინებელი რძე უნდა ააღულოთ, გააციოთ 28⁰R-მდე და ისე ასვათ ან და სელის ჭქვილი უნდა გადურიოთ რძეს. ძალიან კარგია ფალარათობის წინააღმდეგ რძესთან ერთათ ქათმის უმიკერცხი მიეცეს ხბოს, კარგია აგრედვე ნახევარი ჩაის სტაქანი წითელი ღვინო დაალევინოთ.

ჭამის შემდეგ ტუჩები უნდა მოუწმინდონდ ხბოს კარგად, რომ რძე არ შერჩეს ზედ და არ დამჟავდეს. ამ უსუფთაობით ხბოს ბალანი სცვივა ტუჩებზედ, ანთება ემართება, უმუწუკდება და ბუჩები აწუხებენ საშინლად. ზომაზე მეტა რძის დალევინებით მეტადრე პირველ დღეებში კუჭი იძლება, ხბო ილახება და მისი გაზღავნამამება პრკოლდება.

სახბორე უნდა იყოს თბილი 10-12⁰R, არ უნდა უბერავდეს შიგ ორპირი ქარი, სინათლე შედიოდეს ბლომად და პარი სუფთა ჰქონდეს. ბლომად უნდა ევოს სახბორეში ჩალა-ნამჯა, რომ რბილად და თბილად დაწვეს ხბო.

თუ სახბორეში არა თბილა საკარისად, ზემოდან ხბოს ჩული მაინც უნდა გადაეფაროს, რომ თბილად იყოს.

როცა რამდენიმე ხბოა სახბორეში, უნდა გაცალკევდნენ, რადგან ხმორებმა ჩვილობაში წოვნა იციან მეტად და შეიძლება ჭიბები გამოუწოვონ ერთ-მანეთს.

დაბადებიდან პირველ დღეს ხმოს უნდა 4—5 ჯერზე საერთოდ 6—6^{1/2} გირვანქა რე მიეცეს მთელ ოცდაოთხ საათის განმავლობაში. შემდეგ ამისა ხმო უნდა შეაჩვით სამჯერად ჭამას ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

მეორე კვირიდან უნდა ეძლიოს ხმოს ძელის ფქვილი, ჯერ ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი, მეტე უმატოთ თანდათან ისე რომ როცა ხმო ორი სრული თვისა შეიქნება ორი სავსე ჩაის კოვზი მოსდიოდეს დღეში.

ამ საკვებავით ხმოს ძვლები უმაგრდება და ეგრედწოდებული ინგლისის ავალმყოფაბა აღარ გაუჩნდება.

მეოთხე კვირიდან როცა ხმოს ნალებ-მოხდილ რძის ჭრევას დაუწყებთ, რე დაფქული ცარცი უნდა გადურიოთ. გარდა ამისა ურიგო არ იქნება რომ ნა-

ღებ-მოხდილ რძეს ნალების სამაგიეროდ 5—6 მისხალი სუფთა სახამებელი გადერიოს თითო გირვანქა რე მდებარე და ისე დეკლევინოს.

ამ დროიდანვე ხმოს უნდა ეძლიოს 2—2^{1/2} გირვანქა თივა ყოველ დღე, ხოლო როცა სამი თვისა გახდება 4—5 გირ. დღეში. გარდა ამისა ამ დროიდანვე ხმო უნდა შეაჩვით ზეთგამოხდილ ხორბლეულობის (სელის თესლი ველასა სჯობია) ჩენჩოს ჭამასაც, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში შეიძლება 2^{1/2} გირვანქა მიეცეს საერთოდ როცა ხმო მეოთხე კვირაში გადადება. შემდეგ ამ ზომას თანდათან მოემატება ისე რო ხმო რო სამი თვისა შეიქნება დღეში 1^{1/2}—2 გირ. ზეთგამოხდილი თესლის ჩენჩო მოსდიოდეს საჭმელად.

ა. რუსიშვილი

ზეზილი

წარსულ შემოდგომაზედ ქართლში ყველგან დიდი მუშაობა იყო. სხერიდნენ თრმოებს ხეხილის ჩასყრდილი. თრმოებს ამზადებდნენ ისეთ ადგილებშიაც, სადაც წინეთ ფიქრადაც არავის მოუკიდოდა ხეხილის დარგვა.

მრავალ ხეხილთა შორის ვაშლს პირველი ადგილი აქვს დათმობილი. ისეც უნდა იყოს. ნაგალა ხეხილმა, კარლი-კებმა, დიდი ყურადღება დაიმსახურა, რაღაც მისი ხილი საუკეთესოა, ქარიან ადგილებში უფრო ირჩენს ნაყოფს და სანახავადაც ლამაზია. კარგი მაგალითის მიბაძვა როდია ურიგო. მხოლოდ ნაგალა ხეხილის ლირსებასთან ნაკლულევანებაც მინდა აღვიშნო. იგი დიდი არ იზრდება და

ცოტასაც ისხამს. თუ საშუალო მოსავალს თითო ხიდან 15—20 გირვანქას ვიანგარიშებთ, მხოლოდ 12—15 ხის მოსავალი შეედრება ერთ დიდ ტანოვან ხის მოსავალს. ახლა დაივარაუდეთ 12—15 ხის ამაგი ჩაყრა და მოვლაზე. მართალია მალე ისხამს ნაყოფს, მაგრამ მალეც ბერდება: 18—20 წლის შემდეგ ხე ასაჭრელი ხდება. ამ ხნის დიდი ხე კი მხოლოდ დავაუკაცებულია, მხოლოდ ახლა მოიკრიბა ღრანე სრული მოსავლის მოცემისა. *)

*) ნაგალა ხეხილების ლირსება-ნაკლულევანების უფრო გრულად გასაგებათ იხილე „მოსავალი“ № 2, 1910 წ. „მსხალი და ვაშლი“. რედ.

ჩემი რჩევა: ვისაც ხეხილის ბაღის გაშენება სურს დიდი ტანოვანი ხეები ჩაყაროს და მათ შორის ადგილები მცირე ტანოვან ხეებით შეაცსოს. სანამ პირველნი დასრულდებიან, მეორენი მოასწრობენ სრულ მოსაცლის მოცემას და მოსაშორებელიც გახდებიან. დიდ ტანოვან ხეებს ტანი მიწიდან ტოტებძმილის სიმაღლით არშინ ნახევარზე მეტი არ უნდა მიეცეს.

ორმოების დამზადება დიდ სიძნელეს არ შეადგენს მხოლოდ საჭიროა გაზაფხულზე ჩასაყრელ ხეხილისთვის შემოდგომაზედ დაითხაროს ორმოები, რომ მიწა კარგად გაფუვდეს. სილრე ორმოებისა ტანოვან ხეებისათვის 14 ვერ-შოკი, ნაგალებისათვის 12 ვერ. საკმარისია, სიგანე პირველთათვს ორი არ-შინი, მეორეთათვის არშინ ნახევარი.

მიწა ისე უნდა ამოვიდეს ორმოებილან, რომ ჩაყრის ღროს ზედა პირი ძირს მოექცეს. სანამ ხეხილს დარგავდეთ, მიწა ორმოებში ორი სამი კვირით ადრე უნდა ჩაიყაროს, რომ ორმოებში მიწა კარგად დაჯდეს. კარგია თუ დამწვარ პატივს გადურევთ მიწაში. ხეხილის დარგვა ისე უნდა: თოხით ან ნიჩბით უნდა გადიწიოს მიწა ხის ფესვების ზომაზე და ზემოლან თარმოს შეა გულზე ნერგის ძირი დაიდება. ფესვები ხელით უნდა გადაშალოთ აქეთ იქით ისე, როგორც მიმართულება აქვთ, მიეყაროს ძველპატივნარევი მიწა და ხელით მიეტკეპნოს.

ხეხილი ორგორც სანერგეში იყო, იმაზე ღრმად არ უნდა ჩაირგას. ღრმად ჩარგული ხე მაღე სნეულდება. თვით გალონიერებული ვაშლის ფესვები 6—8 ვერშოკზე ღრმად იშვიათად მიღის. ახალ დარგულებს სარები უნდა

ჩაესხას და ზედ მიეკრას ნერგები, რომ ძირები სწორედ დადგნენ.

ხეხილის ჯიშების არჩევის უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. როგორც სხვა გამოცდილი მეურნენიც ურჩევენ, საუკეთესო ევროპიული ჯიშები ვაშლისა ქართლისათვის შემდეგია: რენეტები ორლეანისა, იგივე ზაფრანის რენეტი, კანადისა, შავბანისა და ლანსბერგისა და წითელი კალვილი.

ამ ჯიშთა შორის ლანსბერგის რენეტი უფრო ნაკლებ არის გავრცელებული, მაგრამ სხვა ღისებათა შორის ეს ჯიში იმითია კარგი, რომ ხმელ ნიადაგსაც კარგად იტანს და ვერც ქარიბერტყავს. ხე შუათანა ზომისა იზრდება და ძალიან ჩაყოფილიც არის. ნაყოფი მსხვილია, ჩალის ფერისა, ცალგვერდზე ღდნავ სიწითლე დაუცემს. შვენიერი გემოს ვაშლია. შენახვით თებერვლამდის კარგათა სძლებს და არც კენება.

სხვა მრავალ ჯიშთა შორის ბევრია უვარებისი. ზოგს ქარი ბერტყავს, როგორც მაგალითად ნაცრის ფერ ფრანგულ რენეტს და კანდილ სინაპს, ზოგი შენახვის ღროს ჭკნება, მაგ. ინგლისური საიკჰაიზი და მოკლე კუნწა წითელი, ზოგიც ხალიანდება მაგალითად კალვილ ლეზანსი და სინაპი, ზოგმაც სხმა გვიან და ოხლადაც იცის, მაგალითად თეთრი რაზმარინი და თეთრი კალვილი. უკანასკნელი ავალმყოფობს კიდევაც.

რაც შეეხება ყოველწლივ სხმას უნდა გსთქვა, რომ საერთოდ ხეხილი მეწლევია, ერთს წელიწადს მოისხავს მეორე წელიწადს ისვენებს. ევროპიული ჯიშებიც თითქმის ქართული ხილებივით არიან, მხოლოდ ზოგი მათ-

განი მეორე მოუსავლიან წელიწადსაც რსხავენ მაგრამ ცოტას. ასეთია მაგალითად წითელი კალვილი.

ამ მხრივ ნაგალი ხეებიც იმავე კანონს ეპორჩილებიან, თუმცა უფრო იმაღლიერებენ მეურნეს.

ეს იმითი აიხსნება, რომ მოსავლიან წელიწადს იმოდენი ძალა ეხსრჯება ხეს ნაყოფის დასრულებისათვის, რომ მეორე წლისათვის აღარა ჰყოფნის ეგრედწოდებული პლასტიური ნივთიერება ახალ სანაყოფე კვირტთა შემზადებისათვის (პლასტიდები მცენარეთა უჯრედების ნაწილებია). ამიტომეც ხეს ისვენებს და ძალას იკრებს.

ბალი, ქლიავი, ატამი, ესეიგი კურკიანი ხეები ყოველწლივ ისხამენ.

საზაფრულო ვაშლიც ყოველწლივ ისხამს, რადგანაც მის ნაყოფი მაღე მწიფდება და ხეს რჩება კიდევ კარგადრო მოაგროვოს სამერმისოდ პლასტიური ნივთიერება.

შეიძლება ხეხილს ყოველწლივ მოსხმევინოთ ხელოვნური გასხვლით, სანაყოფე კვირტების შეცლით და უხვი გაპატიებით. მაგრამ სად შესწევს ძალა საშუალო ჩვენებურ შეურნეს ამგვარად შეუწყოს ხელი ან სადა აქვს ამის შესაფერი ცოდნა. მამულის გაპატიებას კიდევ მოახერხებს, თუმცა ამასაც კარგი ცოდნა უნდა, მაგრამ ხეხილის გასხვლა კი მეტად რთული საქმეა. თუ გამოცდილი გამსხვლელი არ არის, ისევ უმჯობესია სულაც თავი დაანებოს გასხვლას. არა ერთხელ მინახავს, რომ მაკარატლით ახალგაზდა ხეებს ვითომ და სხლავდნენ და წვრილ სანაყოფე კვირტებს კი, რომლებიც ხეს დაბლა ტოტებში ასხია, ძირში სჭრიდნენ. რაღა ნაყოფს მოიცემს ხე, როდესაც სანაყოფე კვირტებს აცლიან!

გ. თაქთაქიშვილი

ხესილის გასხვლის სხვადასხვა დანიშნულება^{*)}

(გაგრძელება)

ხეხილის გასხვლას საზოგადოდ სამი უმთავრესი მიზანი აქვს. პირველი მიზანი გასხვლისა ის არის, რომ მისი შემწეობით ახალგაზდა ხეხილს მიეცეს ისეთი ფორმა ანუ მოყვანილობა, რომელიც მეხილეობაში გამოცდილებით უკვე მიღებულია ან დასახულ ადგილმდებარეობას და ჰავას შეეფერება.

მეორე მისი დანიშნულება არის, მცენარის უმთავრეს ორგანოებში საკვებავი წვენის თანაბრად მორიგება, რაზედაც დამოკიდებულია როგორც ხეხილის მსხმოიარობა, ისე იმისი ხანგრძლივი სიცოცხლეც.

მესამე მიზანი გასხვლისა იქმნება ხეხილის გასუფთავება, ესე იგი ჩამოშორება ყველა იმ ნაწილებისა, რომლებიც გამხმარინ ან დაავადებულიან. აგრედევ ჩამოშორება ყველა ზედ მეტი ტოტებისა, როგორიც არიან დოყი და ერთმანეთში გახლართული ტოტები.

რადგან ბალის გამშენებელს თავიდანვე ჯეილ ხეებთანა აქვს საქმე, ამისათვის ურიგო არ იქნება, მოკლეთ გავეცნოთ უმთავრესად გავრცელებულ ფორმების უპირატესობა - ნაკლულევანებას.

ახლანდელ ხილის ბალებში უფრო ხშირად სამგვარ მოყვანილობის ხეხილს შეჰვდებით. სახელდობრ: პირამიდულს:

^{*)} იხ. „მოსავალი“ № 1, 1912 წლის.

დაბალ ტანისას ეგრედ წოდებულ ნაგალი ხეებს და ჯამის მაგვარ ფორმას.



(სურათ 1)

შეუდგეთ ცალკ-ცალკე მათ აღწერას.

პირამიდული ფორმის ხეხილს მთელი ტანის გაგრძელებაზე (სურ. 1) რამოდენიმე რიგი დედა ტოტები აქვს შემორიგებული, რომელთაგანაც ძირის ტოტები უფრო განზე იზრდებიან — ზემოთა ტოტები კი თანდათან ვიწროვდებიან.

ნაგალი ხეები, როგორც სახელწოდება უმტკიცებს, მეტად პატარა ტანის ხეებია. სანამყენეთ ისეთი ჯიშის ძირებს უჩევევენ მათ, რომლებსაც ბუნებით საზოგადოდ სუსტი ზრდა აქვთ, მაგალითად ვაშლის დასამყნობლად ხმარობენ — ხომარდულს, მსხლისათვის კი კომშს. გასხვლის შემწეობით ნაგალი ხეც სხვადასხვა გვარი ფორმისა შეიძლება აღირზარდოს.

ჯაგისმაგვარი ფორმა. — ამგვარ მოყვანილობის მისაღებათ ერთი წლის ნამყენს ხუთი ჩარექის ან ერთი ადლის სიმაღლეზე ჰქონდენ. ზემოთა კოკ-რებიდან მას გამოაქვს 5 — 6 ყლორტი. როგორიც განზე იზრდებიან. ამნაირად ჯამის მაგვარ ფორმას ტანის გასაგრძე-

ლებელი ყლორტი აღარა აქვს, არამედ მთელი მისი სხეული შემდეგში მხოლოდ 5 — 6 დედა ტოტებისაგან შესდგება, რომლის შუაგულიც მუდამ ცარიელი რჩება. (სურ. 2.)

ზემო ჩამოთვლილ ფორმებში ყველაზედ უკეთეს ფორმათ, პირამიდული მოყვანილობის ხე უნდა ჩაითვალოს.

თუმცა ხეენებული ფორმის გამოყვანა, მებალისაგან მეტ ცოლნა-წვალებასა თხოულობს, მაგრამ სამაგრეროდ მას ბევრი კარგი მხარეც აქვს.

ყველას გენახვებათ თავის ნებაზედ გაზრდილი ვაშლი ანუ მსხალი. თუ დაპყირვებიხარ ისინიც მომეტებულ შემთხვევაში ბუნებით პირამიდულ ფორმას ღებულობენ. მაშასადამე თუ წე-



(სურათ 2)

სიერის გასხვლით ჩვენც ხელს შეუწყობთ იმათ ბუნებრივ ხასიათს, ცხა-



დღია, მაშინ ჩვენი ხეებიც გაცილებით გამძლე და მსხმოიარები შეიქმნებიან.

პირამიდულ ხეს ქარი ნაკლებად აზარალებს, რადგან სხეულის შუაგული ცარიელი არა აქვს, როგორც ჯამის-მაგვარ ფორმას. ამისათვის ტანის გაგრძელებაზე შემორიგებული ტოტები ერთმანეთს ადვილად იფარავენ ქარისა და სეტყვისაგან. აგრედვე ვერას აკლებს თველი და ნაყოფის სიმძიმე, რადგან პირამიდულ ხის ტოტები ალმაცერად იზრდებიან და ამისათვის თველის ბარდანას ზედ დადგომა არ უჟღლიან.

ნაგალა ხეები. ამ პატარა ხეების კარგი მხარე იმაში გამოიხატება, რომ სხვა ტანის ხეებთან შედარებით ნაყოფი გაცილებით აღრე იძლევიან. მაგ. მეხუთმეტებს წელიწადს ნაგალა ხეებს საკმაო და ჩინებული თვისების ნაყოფი მოაქვთ.

რადგან ნაგალა ხეებს ტანი პატარა აქვთ, ამისათვის ერთ დესეტინა მიწაზე დაახლოვებით 1100—1600 ძირი შეგიძლიანთ დასტიოთ. ასეთ ხეხილს ქარიც ნაკლებად აზარალებს. მათი ტანის სიპატარავე აღვილებს ყოველგვარ მუშაობას, სახელდობრ გასხვლის, გასუფთავებას, წამლობას, ხილის დაკრეფას და სხვ.

ნაგალა ხეხილის უმთავრესი ნაკლელებანება ის არის, რომ 15—20 წელიწადზე მეტს ვერა სძლებენ.

გარდა ამისა ამ პატარა ხეების ფესვები ღრმათ ვერ ახერხებენ მიწაში წასვლას და იქვე ზედაგის ზედაპირში უხდებათ მუშაობა. ამის მიზეზით მებაღე იძულებული ხდება ხსენებულ ხეებს ფხვიერი და ნოკიერი მიწა შეურჩიოს ან ხელოვნურად გააუმჯო-

ბესოს იგი. ყველა ამასთან ნაგალა ხეხილის ბალი ყოველ 4—5 წელიწადში ერთხელ პირალებით დაბარვასაც თხოულობს.

როგორც პხედავთ, ნაგალა ჯიშის ხეხილები ბევრ წვალებასა და ხარჯსა თხოულობენ, მაგრამ მებაღე ამასაც არ უნდა შეუშინდეს, მხოლოდ იხალი ბალის გაშენების დროს ის მარტო ნაგალა ხეხილს არ უნდა მიენდოს, არამედ უმჯობესი იქმნება თავის მიწაზე ერთსა და იმავე დროს ორივე ჯურა ხეხილი ჩაირთოს—ნაგალა და ტან-მაღალი. რა თქმა უნდა ასეთი ხილის ბაღი სახეიროც იქმნება და დიდხანსაც გაუწევს სამსახურს: 15—20 წლის შემდეგ, როდესაც ნაგალა ხეები დაბერდებიან სწორედ ამ დროიდან ტან-მაღალი ხეხილიც დაიწყებს მოსავლის მოცემას. ამზადით პატარა ხეების სიბერე მამულის პატრონს შეუმჩნევლად დარჩება.

რაც შეეხება ჯამის-მაგვარ ფორმას როგორც ზევით მოვიხსენიეთ ამგვარი ხეხილის აღზრდა გაცილებით აღვილია. მხოლოდ პირამიდულ ფორმასთან შედარებით იგი უვარვისად უნდა ჩითვალოს. და ის რათა: ჯამის-მაგვარ ფორმას ტანის გაგრძელება არა აქვს, ძირითა ტოტები განზედ იზრდებიან, რისთვისაც ის შუაგული ცარიელი ჩეხება. ასეთ ხეს სანაყოფე ტოტების რიცხვიც ნაკლები ექნება და ნაყოფისაც ნაკლებს მოისხამს ვიღრე პირამიდული ფორმა. გარდა ამისა ჯამის-მაგვარ ფორმას, რომლის უმთავრესი ტოტები მეტ-წილად გაშლილ-გადაზნექილებია, სეტყვაც და ქარიც აღვილად აზარალებენ ხოლმე.

ხეხილის ტანის სიმაღლე. ეხლანდელ მეხილეობაში ხეხილის ტანის სი-

მაღლეთ უმთავრესად ორ გვარი ზომაა მიღებული 12 და 20 ვერშოკი. პირველებს დაბალი ტანის ხეებს უწყდებენ, მეორეს კი საშუალო ტანისას.

იგრძევე მესამე ჯურა ხეებს, რომლებსაც ტანი სიმაღლით ერთ საეგნამდე აქვთ.

თუმცა ეს უკანასკნელი ფორმა ყურადღების ღირსია, მაგრამ იგი ძალიან ნაკლებათ ვრცელდება.

რაღაც ხის ტანის სიმაღლეზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ამისათვის საჭიროთა ვსთვლი როიოდე სიტყვა ხის ტანის მნიშვნელობაზედაცა ვსთქვა.

ხის ტანი მარტო იმ მოვალეობას როდი ასრულებს, რომ ფესვებიდან წამოსული საკვებავი თავის სხეულს მიაწოდოს, ან მხოლოდ ხის სიმძიმე დაიმაგროს.

ხის ტანი სხვა დიდ მოვალეობასაც ასრულებს. სახელდობრ მთელი თავის სხეულისათვის ნამდვილ საკუჭნაოს წარმოადგენს. აქ ინახება უმთავრესი საკვებავების მონარჩენი—წყალი და სახამებელი. ამ სარჩოს მცენარე მხოლოდ მაშინ ჰქონდავს, როდესაც მას ძალიან გაუჭირდება გოლვისა და აფაღმყოფების დროს. რაც უფრო გრძელი და მსხვილ ტანიანია მცენარე იმდენად ის საღი და გამძლეც იქმნება. ტყუილია აგრძევე ის შეხედულობაც ვითომც ტან-მაღალი ხეხილი დაბალი ხარისხის ნაყოფს იძლეოდეს. ამის მიზეზი ხეხილის სიმაღლე კი ორა, არამედ მოუკლელობა უნდა იყოს.

რაღაც ტან-მაღალი ხეები ამჟამათ საზოგადოდ ნაკლებათ არიან გავრცელებული ამიტომ ჯერჯერობით ჩვენც ჩხარს აუხვევთ ამას.


ამნაირად ჩვენა გვრჩება ტანის ორგვარი ზომა: 12 და 20 ვერშოკი.

ჩემი საკუთარი რწმენით ამ ორში მეუკანასკნელს უფრო ვამჯობინებ.

პირველი გასხვლა.—პირამიდული ფორმის გამოსაყავანათ ერთი წლის სწორე და ღონიერი ნამყენები უნდა არჩიოთ. სიგრძეც ერთ აღლზედ ნაკლები არ უნდა ჰქონდეთ. თუ ნამყენებს შემოდგომაზე დარგავთ, მაშინ უმჯობესი იქმნება გასხვლა გაზაფხულისთვის გადასდოთ. აღრე გაზაფხულზე ვიდრე კოკრები გაიღვიძებდნენ შეუდგებით ნამყენების გასხვლას. თვითეულ ნამყენს (იხ. სურ. 3) მიწის პირიდგან 20 ვერშოკის სიმაღლეზედ აზომავთ და ამ სიმაღლის ზემოთ ასთვლით 6—8 კოკორს, რომლებსაც შემდეგი დანიშნულება ექმნებათ: პირველმა 5 კოკორმა პირამიდის პირველი რიგის ტოტები უნდა მოგვცენ. დანარჩენი სამი კოკრიდან მხოლოდ ერთ კოკორს აარჩევთ; ამ კოკორმა უნდა მოგცეთ ტანის გასაგრძელებელი ყლორტი. ბოლოს კოკორი—ბ, უნდა იმყოფებოდეს დამყნილი აღგილის ც—მხარეს. როდესაც ბოლო კოკორს ამოარჩევთ, შემდეგ მის ზემოთ დაახლოებით 3—4 ვერშოკის სიგრძეზედ უკელ კოკრებს ძირში ამოათლით და ნამყენის ბოლოსაც წააჭრით. ამ ზედმეტ ნაკერს (იხ. სურათი 4 ბ ბ) უშვებენ იმ მოსაზრებით, რომ შემდეგში ბოლო კოკრიდან გამოტანილი ყლორტი ამ ნაკერზედ ააკრინ, რომ ქარმა არ მოსტეხოს, ან არ გამრუდდეს. ეს წესი ყოველ გასხვლის დროს უნდა გიმეოროთ. ამით გაათავებთ ნამყენის პირველ გასხვლას.

ამნაირად გასხლული ნამყენი პირველსავე წელიწადს ექვს ყლორტს გამოიტანს. აქედან ხუთი ყლორტი

დარჩება პირამიდის პირველ რიგის ტოტებათ, მექანიკურ ტი კი ტანის გა-



სუ. 3.




სუ. 4.

საზრდელად. ტანის გასაზღელი ყლორტი ცოტათი მოიზრდება თუ არა, საკიროა ზედმეტ ტოტზედ მიეკრას. დანარჩენ გვერდის ყლორტებიც ყურადღებით უნდა დათვალიეროთ და რომელი მათგანიც დანიშნულ ზომაზე განხედ დაიწყებს ზრდას უსათუოდ მისწიოთ და ნამყენის ანზედ ჭილაბით მიაკრათ. თუ ყლორტი ნამყენის ტანთან ახლოა მიწეული, ესეც განზედ უნდა გასწიოთ. ამ შემთხვევაში ორკან ჯოხს ან თხელ ფიცრებსა ხმარობენ, რომლებსაც პოლოები მოჭრილი უნდა ჰქონდეთ, რომ ყლორტი ცოტათი შიგ ჩაჯდეს, მხოლოდ ყლორტსა და ფიცრარ შუა ბალახი ან ჭილობის ნაჭერი უნდა დასტანდეს. უნდა გახსოვდეთ, რომ ტოტებსა და ხის ტან შუა გამო-

სული კუთხე 45° უნდა იყოს, რაც დაახლოებით ვონიოს ნახევარ სიგანეს უდრის (სურ. 5.)

გასხვლის დროს როგორც ტანის გასაგრძელებელი — ისე გვერდის



5

ყლორტების ბოლოებზედ ზედ მეტი ნაჭრები უნდა გაუშვათ, რომ ზაფხულში, როდესაც ყლორტები ჯერ ისევ ნორჩებია — ამ ნაჭრებზედ შეგვეძლოთ იმათი აკვრა.

აგრედვე ყურადღება უნდა მიექცეს ბოლოს კოჭრებსაც, რომლებიც გვერდის ყლორტებზედ მუდამ გარედგან უნდა იმყოფებოდნენ, ტანის გასაზრდელ ყლორტზედ კი წინ გასხვლის მონაცერის მხარეს.

პირველ ზაფხულში, როდესაც ყლორტები კარგად მოიზრდებიან, დაათვალიერებთ მათ და რომელი მათგანიც სხვებს უსწრებენ ზრდაში, იმათ ცოტათი წვერებს წაამტვრევთ. აგრედვე ჩამოაშორებთ ყველა მეტ ყლორტებსაც. უნდა გახსოვდეთ, რომ ტანის გასაზრდელი ყლორტი დანარჩენ ყლორტებზედ გრძელი და მსხვილი უნდა იყოს.

აგრედვე უფრო თამამები უნდა იყვნენ ძირის ყლორტები ვიღრე ზემოთა.

კარგად მოვლილ (სურათი 5)

ნამყენს შემოზღო — მაზე ყველა შტოები თანაბარი ღონისა ექმნება (სურ. 5.)



როგორც პედაგოგ სურათზე, ერთხელ გასხლულ ნამყენს მართლაც შევენიერი სანახაობა აქვს. დიდი ბედნიერებაა თუ შემოდგომაზე ყველა თქვენ ნამყენებს ასეთი შეხედულობა ექმნება.

ხეხილის ზრდა არც ისე ადვილათ ემორჩილება ადამიანს, როგორც ეს ჩვენა გვვონია. ხშირად წესიერადაც

გასხლული ხეც კი ისეთ დამახინჯებულ მოყვანილობას ღებულობს, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება მისი ფორმის გასწორება. იმიტომ მებალისათვის საკიროა დიდი გამოცდილება და დაკვირვება, რომ იგი ყველა დაბრკოლებას აზრიანათ გაუძლვეს.

გ. ნახუცრიშვილი

(შემდეგი იქნება)

პვეპა და საპვეპავეზი

ლიმფისა და სისხლის სამოძრაო გზები სხეულში.

ცხოველის სხეული შესდგება უთვალიავი უჯრედებისაგან, რომელნიც სხვა-დასხვა რიგად არიან შეერთებულ — გადაბმულნი და წარმოადგენენ სხეულის ყველა ორგანოებს. უჯრედებს შორის დარჩენილია პატარა გასავალი ადგილები, სადაც გადი გამოდიან ლიმფის მილები, რომელნიც წააგვანან ვენებს, ხოლო მათ ცოტა უფრო თხელი და უფრო გამჭვირვალე კედლები აქვთ, ვიღრე ვენებს. ლიმფის მილებით მიმდინარეობს გულისაკენ გამჭვირვალე ლიმფა. გზადაგზა ეს მილები იყრებიან ერთად და მთელი ბალე იწვნება ამ მილებისა. ალაგ-ალაგ ლიმფის თითოეული მილი იყოფა ხუთ - ექვს წვრილ-წვრილ მილებათ, რომელნიც შედიან ლიმფის ჯირკვალში. ამ ჯირკვლებიდან ლიმფა გამომდინარეობს ისევ რამდენიმე წვრილი მილებით, რომელნიც გზადაგზა იყრებიან ერთად, მსხვილდებიან თანდათან და ბოლოს ორ მსხვილ მილათ შეგროვილნი შედიან კისრის ვენაში.

უჯრედების შუა დარჩენილ გასავალ ადგილებში ლიმფის მილების გარდა გადიან კიდევ სხვა რიგი მილებიც — არტერიები და ვენები. პირველთ ამათ-

განთ სისხლი გამოაქვთ გულიდან სხეულში, მეორეებს კი მიაქვთ სისხლი სხეულიდან გულში. წითელი ალისფერი სისხლი გამომავალი გულიდან ერთი არტერიით — პარტით, გადადის ჯერ მსხვილ არტერიებში, მერე წვრილებში და აქედან ამ არტერიების დაშლით წარმომდგარ თმის სიმსხო სისხლის მილებში — კაპილიარებში, რომლებიდან სისხლი შედის შემდეგ ვენებში ისევ გულისაკენ წასასვლელად.

გაშალეთ ორივე მკლავი და მიატკუცეთ ხელი ხელს ყველა თითების წვერებით. მიიღებთ არტერიებისა და ვენების ერთი-ერთმანეთთან შეერთების სურათს. ერთი მკლავი იქნება არტერია, მეორე ვენა და ხელის თითები კიდევ კაპილიარები.

არც არტერიის, არც ვენის კედლებში არაფერი არ შეიძლება გაიუვენოს. სინოკივრეების სისხლიდან სხეულში გასვლა მხოლოდ კაპილიარების სიფრიფანა კედლებში ხდება. სხეულისათვის გამოუსადეგარი ნივითერებანი შედიან სხეულში იგივე კაპილიარებისა და ლიმფის საშუალებით.

მთელი სხეული დაქსელილია ლიმფის მილებით და სისხლის კაპილიარებით. სხეულის ყოველ უჯრედს გარშემოერტყმის თხელკედლებიანი მილი,

რომელშიაც მიმღინარეობს ლიმფა-
ტორებით სავსე სხეულისათვის მოტა-
ნილი სინოყივრეებით და უკან დაბ-
რუნებული გამოუსადეგარი ნივთიერე-
ბებით.

ლორწოიანი კანი წვრილი ნაწლე-
ვებისა მოფენილია შიგნიდან ხავერდის
ბოჭკოსაებრ პატარა საწოწნავებით ანუ
საწოვრებით, რომელიც გარძევებულ
საჭმლიდან სწოვენ შესათვისებლად
გამზადებულს სინოყივრეებს.

სისხლის კაპილიარებიც და ლიმფის
მილებიც ამ საწოვრების შიგნით არიან
შესულნი.

ქონის შესუტვა. — წვრილ ნაწლე-
ვებში როგორც, ზემოთ იყო ნათქვამი,
რაოდენიმე ნაწილი საკვებავის სიმსუქ-
ნისა იშლება სტეაპინის ზედმოქმედე-
ბით მსუქან სიმჟავეებათ და გლიცერი-
ნათ. ეს სიმჟავეები და ტუტანი უჟრთ-
დებიან ერთმანეთს და წარმოსდგება
საპონი, რომელიც აქაფებს დანარჩენ
ქონსაც, აღვილებს მით სტეაპინის
ზედმოქმედებას მასზედაც და იშლება
იგიც სიმჟავეებათ და გლიცერინათ.

ამ არსებული გამოკვლეუების ძალით
უნდა ვიფიქროთ რომ საკვებავის ქო-
ნი უნდა ჯერ იქცეს საპონად და გლი-
ცერინად და მერე შეიუვენოს ნაწლე-
ვის კედელში, სადაც საპონი და გლი-
ცერინი ისევ ხელახლად იქცევინ ქო-
ნათ, რომელიც შემდეგ ლიმფასთან შე-
ზავებით გარდაკეთდება რძის-მაგვარ
სითხეთ და შედის სისხლში.

**ნახშირწყლების შესუტვა და გლი-
ცოგენის წარმოდგენა.** საკვებავის გლი-
ცოკოზა და გლიუკოზა-მაგვარი შექრები
წვრილი ნაწლევიდან კაპილიარების
შემწეობით გადადიან სისხლში და აქვ-
დან ლვიძლში, სადაც ისევ იქვენებიან

სისხლიდან გარედ და ინახებიან ლვიძლ-
ში ვითა ეგრეღწოდებული ნივთიერება
გლიკოგენი, — ნახშირწყალი, რომელ-
საც იგივე შედგენილობა აქვს, რაც
სახამებელს და ისე მიემზგავსება მას
საზოგადოდ, რომ ხშირად ცხოველის
სახამებელსაც კი უწოდებენ ხოლმე
სახელად.

ჩვეულებრივ გლიკოგენი შეადგენს
მთელი ლვიძლის $1,5 - 4,0\%$ წონას.
გამონაშული ლვიძლში გლიკოგენი
ისევ თანდათან იქცევა აქ გლიუკოზათ
და მოთხოვნილებისა და გვარად ხმარდე-
ბა სხეულს იმავე გზით.

გლიუკოზის გარდა კუცევა გლიკოგე-
ნათ შეუძლიანთ ლვიძლის გარდა სხვა
ორგანოებსაც, ნაშეტნავად სხეულის
კუნთებს. როდესაც კუნთებს სჭირდე-
ბათ რაიმე მუშაობის აღსრულება, ჯერ
ამ კუნთებში მყოფი გლიკოგენი იხარ-
ჯება გარდა კუცეული გლიუკოზათ და
მერე, თუ ამან არ იკმარა, ლვიძლის
გლიკოგენიდან მიღებული გლიუკო-
ზაც. გლიუკოზა სისხლში ჩვეულებრივ
ცოტა არის; კუნთებში — უფრო ცოტა.

პროტეინების შესუტვა. პროტეინე-
ბის მოხარულით წარმომდგარ ამინოვის
სიმჟავეთა და სხვა სინოყივრეთა შესუ-
ტვა ხდება წვრილ ნაწლევებში საწოვ-
რების საშუალებით. ჯერ ისევ ნაწლე-
ვების კედლებშივე ეს მარტივი ნივ-
თიერებანი შეზავდებიან ერთად და
წარმოადგენენ არ სხვადასხვა შეერთე-
ბას — სეროზმალბუმინს და სეროზმგლო-
ბულინს.

ეს ახლად წარმომდგარი პროტეინე-
ბი, რომელიც ჩვეულებრივ აზოტნა-
რევ მასალას შეადგენენ სხეულისას,
შედიან სისხლში გლიუკოზებთან ერ-
თად კაპილიარების შემწეობით.

მინისტრი ნივთიერებანი შეისუ-
ტებიან წვრილ ნაწლევებში. წყალის
ჟესუტია იწყობა კუჭშივე და ოვდება
მსხვილ ნაწლევებში.

**შესუტული სინოეივრეების განა-
წილება სხეულში.** — ჩვენ ზემოდ ვნა-
ხეთ რომ ხარშვადამთავრებული საქმ-
ლის ქონი ჯერ შედის ლიმფაში და
მერე ლიმფას ჩააქვს სისხლში, ვენაში
კისერთან. გლიუკოზები, ამინცის
სიმუავეები და სხვა აზოტნარევი სინო-
ეივრენი გარდაქცეულნი სერუმგლო-
ბულინათ და სერუმალბუმინათ კი
პირდაპირ შედიან სისხლში კაპილია-
რებისა და ვენების შემწეობით.

წვრილ ნაწლნვებიდან გამოსული ვე-
ნები გრძელებიან გზა და გზა და იქცე-
ვიან ერთ დიდ ვენათ, რომელიც გაივ-
ლის ღვიძლს და ჩადის გულში.

ამგვარად სისხლში შერეული სინო-
ეივრენი შედიან ბოლოს თმის სიმსხო
სისხლის მილებში ანუ ეგრედწოდებულ
კაპილიარებში.

სისხლთან მოყოლილი ამ კაპილია-
რებში სინოეივრენი უვენავენ კაპილია-
რების კედლებიდან გარედ და შედიან
ლიმფაში, რომელიც მიმდინარეობს
ურიცხვი მილებით და მიაქვს ეს სინო-
ეივრენი სხეულის ყველა უჯრედებთან.

**შესუტული სინოეივრეების მოხმა-
რება.** — სხეულის ყველა ნაწილებთან
მიტანილი სინოეივრენი ეკიდებიან
მეავბადს ანუ იწვიან და წარმოსდგება
ან სხეულის სითბო, ან სხეულის ენერ-
გია სხვადასხვა საკუთარ საჭიროებისა-
თვის მოსახმარი ან სამუშაო.

თუ მიღებული სინოეივრენი იმაზე
მეტი გამოდგა რაც ზემოდ აღნიშნულ
საჭიროებისათვის უნდა დაიხარჯოს,
ზედმეტი მასალა გადიდება სხეულში
შესანახად. გლიუკოზები გარდაიქცე-

ვიან ქონათ და ისე ინახებიან სხეულ-
ში, იგივე ქონათ ინახება საჭმლიდგან
გამოხდილი სიმსუქნეები; შეიძლება აგ-
რედვე ზედმეტი სერუმგლობულინიც
და სერუმალბუმინიც იშლებოდნენ და
შემადგენელი მათი ნივთიერებანი ნახ-
შირბადი, წყალბადი და მეავბადი ქონის
გაკეთებაზე იხარჯებოდნენ ხოლო აზო-
ტი კი შარდში გადიოდეს.

ჩვეულებრივ პროტეინები ხმარდე-
ბიან სხეულს უმთავრესად იმ ნაწილე-
ბის აგებაში, საღაც ერთი მასალათა-
განი აზოტი უნდა იყოს, როგორიც
არიან მაგალითად კუნთები ანუ ხორ-
ცი, ნერვები, კანი, თმა და მრავალი
სხვა ორგანოები.

**განავალის განთავისუფლება სხე-
ულიდან.** — როცა საკვებავით შეღებუ-
ლი სინოეივრენი იშლებიან სხეულ-
ში სხეულის სითბოს მისაღებათ ან ახა-
ლი ნაწილების გასაკეთებლად ძველე-
ბის მაგივრად, ამ დროს სხეულში ჰაერ-
გვარი ნახშირმეავე წარმოსდგება მომე-
ტებულ შემთხვევაში.

მეტი წილი ამ ნახშირმეავისა შედის
კაბილიარებში, მისდევს თან ვენის
სისხლს, გადადის შემდევ ფილტვებში
და ამოისუნთქება გარედ.

რაოდენიმე ნაწილი ამ ჰაერგვარისა
გამოდის სხეულის გარედ კანის ჩუჩრუ-
ტებითაც:

ბალახის მჭამელი ცხოველები ფილ-
ტვებიდანვე ამოისუნთქავენ ხოლმე
ნეშომპალის ჰაერგვარსაც, რომელიც
წარმოსდგება მათ კუჭში საკვებავების
დაღულების დროს, შედის სისხლში და
სისხლიდან გადადის მერე ფილტვებში.

თითქმის მთელი აზოტი პროტეი-
ნების დაშლით წარმომდგარი სხეულში
გამოიხდება ხოლმე სისხლიდან თირკმე-
ლებით, ერევა შარდს და გამოსდევს
გარედ ამ უკანასკნელს.

აზოტის ნიშნები ეტყობა აგრედვე სხეულიდან გამონადენს ოფლასც და უფრო მეტად ნაწლევებიდან განავალსაც.

კველა ეს გასადევნი ნივთიერებანი აძიოთმკვებავ ცხოველების სხეულიდან შარდის საშუალებით გამოდიან გარედ.

სხეულში დაშლილ აზოტნარევი ნივთიერებების რაოდენობის გასაგებათ იკვლევენ ჯერ რამდენი აზოტია ამ ცხოველების შარდში და რაც გამოვა ამრავლებენ 6,25-ზე. მიღებული ამ გამრავლებით რიცხვი გვიჩვენებს რამდენი აზოტნარევი ნივთიერება დაშლილა სხეულში, რადგან როგორც გამოკვლევიდან სჩანს, თითოეული მოლეკულა აზოტნარევი ნივთიერებისა 16% აზოტისაგან შესდგება წონით.

აზოტის გარდა კიდევ ბევრი სხვა ნივთიერება ურევია შარდს გამოხდილი თირქმელებით.

შარდს გამოსდევს უმეტესი ნაწილი ისეთი არაორგანიული მარილებისაც, როგორიც არის მაგალითად ჩვენი ჩვეულებრივი საჭმელი მარილი.

მცირეოდენი ნაწილი კველა იმ ნივთიერებებისა, რომელნიც გამოსდევენ შარდს, განიდევნება სხეულიდან აგრედვე კანიდანაც ოფლათ.

მეტი წილი არა-ორგანიული მარილებისა, რომელთაც ურევიათ კალცი, მაგნი და ფისტორი განიდევნებიან საეულიდან ნაწლევებით.

გამეორება მოკლედ იმისი რაც უკვე ვსთვეოთ.—პირველად ჯერ ის გავიგეთ ჩვენ თუ როგორ მზადდება მცენარეში

მიწიდან, ჰაერიდან და წყლიდან მიღბულ არა-ორგანიულ ნივთიერებებისაგან მცენარის ორგანიული ნივთიერება და როგორ გროვდება და ინახება-იმაღება ამ ორგანიულ ნივთიერებაში მზის სხივით შესული შიგ ენერგია.

შემდეგ ამისა ჩვენ ვნახეთ როგორ მიიღებენ ცხოველები ამ მცენარეულ ნივთიერებებს ვითა საკვებავს, როგორ ხარშავენ, სცვლიან მას და გამოხდიან აქედან თავიანთვის საჭირო სინოყივ-რებს; როგორ შეისუტებიან ეს სინოყივრენი, როგორ გაიტან-გამოიტანებიან სხერლში, როგორ ხმარდებიან სხეულს, როგორ წარმოსდგება აქედან სხეულის სითბო და სხეულის ენერგია სხვადასხვა საჭიროებისათვის გამოსაყენებელი და სამუშაო; როგორა კეთდება ცხოველის სხეულში ვითა შედეგი კველა ამ მოვლენებისა ცოცხალი სხეულის ახალი ცოცხალი ნაწილი და იშლება და გამოიტანება გარედ მკვდარი ნაწილების დანაშალი.

ამ ნაშალიდან განთავისუფლდებიან ბოლოს ასევ ის არაორგანიული ნივთიერებანი, რომელნიც მიწიდან, ჰაერიდან და წყლიდან იყვნენ თავდაპირველად აღებულნი და ეხლა შეაძლება იმნაირივე შენობის ასაგებად ხელახლად იყვნენ გამოყენებულნი.

ესეთია დაუსრულებელი ბრუნვა-ტრიალი ნივთიერებისა ბუნებაში, სადაც მცენარენი, ცხოველნი, მზის ენერგია და მიუწლომელი ჩვენთვის საიდუმლო ძალა ცხოვრებისა თავ-თავიანთ დანიშნულებას ასრულებენ.

თასლეულობის უცხოეთიდან შემოტანა

„მოსაგალის“ რედაქციის ლონდონის აგენტურა ამით აუწყებს ჩვენს მცენარეთ, რომ მან დაიჭირა საჭმე გერმანიის, ლონ-

დონის და პარიჟის საუკეთესო თესლეულობის ფირმებთან.

აგენტურა მზად არის დაემაროს ჩვენს

მეურნეებს საუკეთესო თესლის შეძენაში და შედარებით იაფ ფასებში.

ქვემოთ მოგვყვავს სია ბოსტნეული თესლეულებისა.

შემოსატანი ბაჟი 1 ფუთ თესლზე

15 კპ.

თესლის გამოგზავნა შეიძლება ფოსტით და რკინის გზით.

კართოფილი, სიმინდი, ცირცვი და მუხული უბავოა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კატალოგების გადასათვალიერებლად და თესლის დასაკვეთად „მოსავალის“ რედაქციას.

ვთხოვთ დაუჩქრონ დაკვეთა, რადგან სეზონი უკვე დაწყებულია.

ბოსტნეული თესლის გარდა შეიძლება ყოველნაირი თესლის გამოგზავნაც: ყვავილების, ხეხილების, აგრელვე მებაღებისა და მებოსტნეობაში ახმარი იარაღების და სხვ.

„მოსავალის“ ლონდონის აგენტურა ლონდონი.

30 იანვარი 1912 წ.
12 თებერვალი.

თესლეულობა VILMORIN-ANDRIEUX-ს კატალოგი

სახელწოდება ქართული.	სახელწ. ფრანგული.
აბსინთა	Absinthe.
ანისული	Anis.
ბალრიჯანი	Aubergine.
ბოლოკი	Radis rave.
თვის ბოლოკი	Radis.
დანდური	Pourpier.
გოგრა	Portiran, Courge, Giraumon.
კართოფილი (სხვადა- სხვა ჯიში)	Pommes-de-terre.
კაპარი	Caprier.
კომბოსტო თეთრი. . . .	Chou pommé.
" წითელი	Chou rouge.
" მილ-ნური. . . .	Chou de Milan.
" ბრიჯელისა	Chou dn Bixelles.
" ჩინური. . . .	Pe-tsai.
" თავყვავილა	Chou fleur.
" სატაცურ-მაგვარი	Chou Broccoli.
" ფოთლოანი	Chou vert.

კიტრი	Concombre.
კამა	Aneth.
ისპანაზი	Epinard.
მეუნა	Oseille.
მოვავი	Moutarde.
მუხული. . . .	Pois.
მიხაკი	Oeillet.
ნეხვი	Melon.
ნიაზური ლერიანი. . . .	Celeri.
" სამწვანილე	Celeri à couper.
" ძირ-თავი	Celeri-rave.
ძუძუ-მარწყვა	Fraisier.
ძირხვენა	Scorzonère.
ლობიო	Huricot.
ლავანდი	Lavande
პრასა	Parreau.
პამილორი	Tomate.
პირნა	Menthe.
ქინძი	Coriandre.
ძირტკბილა	Salsifis.
ჭონდარი	Sarrette.
სიმინდი	Mais.
ტკბილი სიმინდი	Mais sucré.
სტაფილი	Carotte.
სალათა თავშეკრული	Lai'u.
" ჩასაჭრელი	Laitu à Couper.
" რომელი	Laitu Romaine.
" ციკორიანი	Chicorée.
" სამწვანილე	Mache.
სატაცური	Asperge.
გარეული სატაცური	Carvi.
საზამთრი	Melon d'eau.
სოლინჯი	Nigelle aromatique.
როზმარინი	Rosmarin.
რეზანი	Rhubarbe.
ობრასუში	Persiel.
წიწმატი	Cresson.
წიწაკა	Piment.
ცერცვი ოსმალური	Haricot à rames.
მაღალი	" nain.
" ოსმალური და- ბალი	" d'Espagne.
ცერცვი ბალის ესპა- ნური	Fève.
ცერცვი ჩვეულებისიგი ხაჭიჭორა(არტიშოვი)	Artichaut.
ხახვი	Ognon.
ჭარხალი სასა-ათე	Betterave potagère.
" საქონლის სა- კვებავი	Betterave fonra- gère.
" საშაქრე	Betterave à Sucré.
ტარხუნა	Estragon.

საუკადღებო ცნობები

ფოსტის ხარჯი. — ფოსტის პასუხისმგბით
საქონლის გაგზავნა ჯდება:

8/4 გირვანქა წონაზე . . . 40 კაპ.

12 გირვანქა 90 "

საფრანგეთიდან რუსეთის საზღვრამდე ოკია
ნის გზით მოტანა

100 კილო ბასტენეულ	დანართის	შემდებარებული
მცენარ. თესლისა	შემდებარებული	შემდებარებული
ლირს	5 მ. 70 კ.	11 მ. 48 კ.
" ბალახ. მცენა-		
" რეებისა	4 მ. 65 კ.	11 მ. 48 კ.
" ხორბლეულო-		
ბისა	4 მ. 65 კ.	10 მ. 73 კ.

შედარებითი ანგარიში

როდესაც 10 გრამი 1 ლითო იგივე სა-
საქონელი ლირს:

ფრანკი—სანტიმი.

" — 10	• • • • •	" — 41/2
" — 20	• • • • •	" — 9
" — 30	• • • • •	" — 14
" — 40	• • • • •	" — 19
" — 50	• • • • •	" — 23
" — 60	• • • • •	" — 28
" — 70	• • • • •	" — 33
" — 80	• • • • •	" — 38
" — 90	• • • • •	" — 43
1 — 0	• • • • •	" — 48
1 — 10	• • • • •	" — 52
1 — 20	• • • • •	" — 57
1 — 30	• • • • •	" — 62
1 — 40	• • • • •	" — 67
1 — 50	• • • • •	" — 72
2 — 0	• • • • •	" — 96
2 — 50	• • • • •	1 — 19
3 — 0	• • • • •	1 — 45
3 — 50	• • • • •	1 — 68
4 — 0	• • • • •	1 — 93
4 — 50	• • • • •	2 — 16
5 — 0	• • • • •	2 — 41
5 — 50	• • • • •	2 — 64
6 — 0	• • • • •	2 — 90
6 — 50	• • • • •	3 — 13
7 — 0	• • • • •	3 — 39

7 — 50	3 — 62
8 — 0	3 — 87
8 — 50	4 — 10
9 — 0	4 — 36
9 — 50	4 — 59
10 — 0	4 — 84
20 — 0	9 — 68

როდესაც 1 ფუთი 1 გირვანქა
1 ლიტო ელირება:

ფრ.—სან.	მან.—კაპ.	მან.—კაპ.
" — 10	" — 61	" — 1 1/2
" — 20	1 — 28	" — 3
" — 30	1 — 89	" — 4 1/2
" — 40	2 — 54	" — 6
" — 50	3 — 17	" — 8
1 — "	6 — 20	" — 15
2 — "	12 — 40	" — 31
3 — "	18 — 62	" — 46
4 — "	24 — 82	" — 61
5 — "	31 — 04	" — 76
6 — "	37 — 24	" — 91
7 — "	38 — 15	1 — 06
8 — "	49 — 66	1 — 24
9 — "	55 — 86	1 — 39
10 — "	62 — 08	1 — 55
11 — "	68 — 28	1 — 70
12 — "	71 — 48	1 — 86
13 — "	80 — 68	2 — 01
14 — "	86 — 88	2 — 17
15 — "	93 — 11	2 — 32
16 — "	99 — 31	2 — 47
17 — "	105 — 51	2 — 62
18 — "	111 — 71	2 — 77
19 — "	117 — 90	2 — 93
20 — "	124 — 15	3 — 10
30 — "	186 — 27	4 — 65
40 — "	248 — 35	6 — 20
50 — "	310 — 43	7 — 76
60 — "	372 — 51	9 — 31
70 — "	434 — 59	10 — 86
80 — "	496 — 67	12 — 41
90 — "	558 — 75	13 — 96
100 — "	620 — 88	15 — 51

ი ღ ნ გ ი ს თ ე ს ლ ი

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეცნიერო საზოგადოებაში

ი ყ ი ღ ე ბ ა

ნამდვილი ფრანგული იონჯის საუკეთესო თესლი პროგრამის გამო-
წერილი.

(3—2)